MES 2 21 0001086081

13/10/2021

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

დასაბუთება
საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საჭირო სასკოლო მერხებისა და სკამებისა
და საოფისე ავეჯის გამარტივებული შესყიდვითგანხორციელების შესახებ

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს და ახლად რეაბილიტირებულ/აშენებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ესაჭიროებათ როგორც სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯი, ასევე ერთ მოსწავლეზე გათვლილი სასკოლო მერხები და სკამები.

აღსანიშნავია, რომ საოფისე ავეჯის, ასევე სასკოლო მერხებისა და სკამების გარეშე შეუძლებელია საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირება და სასწავლო პროცესის წარმართვა, რის გამოც საკითხი სახელმწიფოსა და სააგენტოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია და შესყიდვის მიმართ არსებობს მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესი.

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან ერთად დროულად განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები საოფისე ავეჯის, ასევე სასკოლო მერხებისა და სკამების შესყიდვისათვის. კერძოდ, კონსოლიდირებული ტენდერების (CON210000007, CON210000365) საფუძველზე გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, თუმცა კონტრაქტორის მხრიდან დარღვეულ იქნა შესყიდვის ობიექტის მოწოდების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადები. არაერთი გაფრთხილების მიუხედავად კომპანიამ ვერ უზრუნველყო ნაკისრი ვალდებულებების დროულად, გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ვადების დაცვით შესრულება. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტომ მიმართა კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიას და მიიღო შესაბამისი თანხმობა ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ.

არსებული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, იმისათვის რომ არ დაზიანდეს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესები და არ წარმოიშვას გაუმართლებელი რისკები, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის საჭირო საოფისე ავეჯის, ასევე სასკოლო მერხებისა და სკამების შესყიდვის შემჭიდროებულ ვადებში განხორციელება.

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გამარტივებული შესყიდვით განხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საჭირო 18 634 კომპლექტი მერხის და სკამის, ასევე სხვადასხვა დასახელების საოფისე ავეჯის შესყიდვა ჯამური ღირებულებით 4 862 502 ლარი (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი N1 და დანართი N2);

აღნიშნული სააგენტოს მისცემს შესაძლებლობას უფრო სწრაფად და ეფექტიანად გაატაროს ღონისძიებები მის წინაშე დამდგარი ამოცანებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებების მოსაგვარებლად, რაც პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს. ამ ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად და ეფექტურად ჩატარების მიზნით აუცილებელია, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის საფუძველზე განახორციელოს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საჭირო ავეჯის (სხვადასხვა დასახელების საოფისე ავეჯი, სასკოლო მერხები და სკამები) სახელმწიფო შესყიდვები.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
დირექტორი
ღუდუშაური ილია